



MES 6 23 0001509461



07/11/2023

## საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 24. 10. 2023

სხდომის დაწყების დრო: 14:00სთ

სხდომის დასრულების დრო: 19:13 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე**;
2. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**;
3. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
5. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

6. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
8. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
9. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
15. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
16. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საბჭოს მოწვეული (შემდგომში მოწვეული საბჭო) დამსწრე წევრები:**

1. **ივანე აბიათარი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და “მედიცინის სკოლის” ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
2. **ზაზა ავალიანი** - შპს “ევროპის უნივერსიტეტის” მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
3. **მაია ბიწვინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასოცირებული პროფესორი;
4. **მარინე გელანტია** - სს „ჩაჩავას კლინიკის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
5. **თამარ ვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

7. **დავით თათოშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი;
8. **დავით კობეშავიძე** - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
9. **ბიძინა კულუმბეგოვი** - შპს „ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის“ კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
10. **ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;
11. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
12. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
13. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
14. **შორენა წიკლაური** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

სახელი, გვარი	სტატუსი
ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ციცინო თურქაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი	I
2	მანანა ქარჩავა	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	როფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	სოფო თავაძე	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების,	II

			ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
4	მარი სილაგაძე	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი	III
5	მაია ჯაფარიძე	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი	III
6	ჯილდა ჭეიშვილი	შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	როგრამის ხელმძღვანელი	IV
7	ნინო წიქვაძე	შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
8	დიმიტრი გეგენავა	შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	პრორექტორი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ჟუჟა ხაჭაპურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ნინო სილაგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	მაქსიმ იავიჩი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	აზიმ მუჰამედ მირზაზადე (Azim Mohammad Mirzazadeh)	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	თამარ გოდერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

10	დავით ჯიქია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემგოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. აკრედიტაციის დებულების თანახმად, სხდომას ესწრებოდა საბჭოს მოწვეული წევრების 3/4. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის" საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის" საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**1. პირველი საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის" საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	01.04.2019, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №89
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0721 სურსათის გადამუშავება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზრდობის გამზ. №98, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი № 7, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

### **პირველისაკითხის ზეპირი მოსმენა**

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ციცილო თურქაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გარე შეფასება. დაწესებულება ყოველთვის გაითვალისწინებს გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებს. პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია მაშინ, როდესაც ახალი კვალიფიკაციის კლასიფიკატორი და ჩარჩო არ არსებობდა. მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაიცა 3 რეკომენდაცია. უნივერსიტეტს 6-თვიანი ვადა მიეცა აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად. დაწესებულებამ სამივე რეკომენდაცია სრულად შეასრულა, თუმცა ექსპერტებს რამდენიმე შენიშვნა ჰქონდათ აღნიშნული შესრულებული რეკომენდაციების მიმართ. უნივერსიტეტი ეთანხმება 1.3 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციას. კერძოდ, რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკა უფრო მეტად გაუმჯობესდეს. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელი ასევე დაეთანხმა 1.5 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა პროგრამის განვითარების და დარგში თანამედროვე ინფორმაციის დაუფლებისათვის, სასწავლო კურსებში თანამედროვე ლიტერატურის დამატებას. ციცილო თურქაძის თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია 2019 წლის პროგრამის პირველი აკრედიტაციის დროსაც იყო. უნივერსიტეტმა როგორც მაშინ, ისე ახლა მოცემული რეკომენდაცია შეასრულა. პროგრამის განვითარების და დარგში თანამედროვე ინფორმაციის დაუფლებისათვის, სასწავლო კურსებში დაემატა შემდეგი თანამედროვე ლიტერატურა: „ხორცის გადამამუშავების ტექნოლოგია“, „ხორცისა და რძის პროდუქტების უვნებლობა და ხარისხი“, „რძისა და რძის პროდუქტების უვნებლობა და ხარისხი“, „საზოგადოებრივი კვების პროდუქციის უვნებლობა და ხარისხი“ „კვების კონცეფციები“ და ა.შ. რეკომენდებულია, დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსისათვის „ბიოლოგია“. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. ციცილო თურქაძემ აკრედიტაციის საბჭოს წევრებს გაუზიარა „Word“-ის ფაილის დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იყო ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებით როგორ მუშაობდა ფაკულტეტის ხარისხი. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი იყო პროგრამის ვადები როგორც გაუმჯობესებისათვის, ისე მონიტორინგის დროს გადახედვისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ექსპერტთა შესრულებული დასკვნა მიიღო 29 ივლისს. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასში განაცხადა, რომ მას ჰქონდა შიდა ხარისხის მექანიზმებით გაუმჯობესებული ბიოლოგიის სილაბუსი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ ეს არ იყო დადგენილ ვადაში შესრულებული რეკომენდაცია. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“ გადატანილ იქნას არჩევით ბლოკში. მან განაცხადა, რომ მსგავსი რეკომენდაცია გაცემული იყო წინა აკრედიტაციის დროს, როდესაც პროგრამა მიეკუთვნებოდა აგრარული მეცნიერების ფართო სფეროს. ახალი კვალიფიკაციის ჩარჩოთი და კლასიფიკატორის მიხედვით, პროგრამა გადავიდა ინჟინერია, წარმოება და მშენებლობის ფართო სფეროში. შესაბამისად, როდესაც პროგრამა აგრარული მეცნიერების ფართო სფეროს განეკუთვნებოდა, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ

„ელექტროტექნიკა და ელექტრონიკა“ გადატანილიყო დამატებით არჩევით ბლოკში, თუმცა რადგან პროგრამამ შეიცვალა სფერო და გახდა „ინჟინერია - წარმოება“, აქედან გამომდინარე, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების, პროგრამის ხელმძღვანელებისა და შემმუშავებელი ჯგუფის ჩართულობით გადაწყდა, რომ ისევ ყოფილიყო ძირითადად სასწავლო კურსად. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლების“ შესწავლა მნიშვნელოვანია ინჟინერიის მიმართულების სტუდენტებისათვის. რეკომენდებულია დაზუსტდეს სტუდენტების რაოდენობა, ასევე პრაქტიკის მიზანი, შედეგი და ხანგრძლივობა შემდეგი პრაქტიკის ობიექტებთან: შპს იფელი, შპს ქუთაისი, ი/მ დავით ლელაძის ღვინის მარანი, შპს ლიდერი, შპს ნიკორა, შპს ონიმა, შპს რერო, შპს იბერია. მისი თქმით, დაწესებულებამ მოცულობითი პრაქტიკის ბაზების შესახებ ინფორმაცია ექსპერტებს გაუზიარა, რომლებსაც პროგრამა სრული დატვირთვით იყენებს. ხელშეკრულებაში პირდაპირ არ იწერება პრაქტიკაზე სტუდენტების რაოდენობა, მოცულობა, პრაქტიკის მიზანი და ა.შ. იმიტომ, რომ ხელშეკრულების დანართი ამ ყველაფერს მოიცავს. პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის დროს უნივერსიტეტმა ვერ მოახერხა ამ „დანართის“ წარდგენა ექსპერტებისათვის. რეკომენდებულია არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი მიმდინარე ცვლილებები აისახოს ან თვითშეფასების ანგარიშის დესკრიფციულ ნაწილში ან კონკრეტულად წარმოდგენილ იქნას მტკიცებულებების სახით - აღნისნულ რეკომენდაციაზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ციციწო თურქაძემ განაცხადა, რომ ყველა დოკუმენტი, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გაუზიარა დაწესებულებას, შევსებულია და ცენტრის მიერ მიღებულია უხარვეზოდ. მისი თქმით, გაუგებარია, კიდევ რა ინფორმაცია უნდა ასახულიყო თვითშეფასების ანგარიშის აღწერით ნაწილში. საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა ციციწო თურქაძეს მიმართა, რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის გაეზიარებინა „დანართი“ ელექტრონულად, რომელშიც მითითებული იყო პრაქტიკაზე სტუდენტების რაოდენობა, მოცულობა და პრაქტიკის მიზანი. ციციწო თურქაძემ განაცხადა, რომ კომპიუტერში, რომლითაც ის ერთვებოდა, დანართი ჩატვირთული არ იყო.

### **საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტი ნინო ქიმერიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ ექსპერტები შეეცადნენ, დეტალურად გაეცათ პასუხი უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციისათვის. მისი თქმით, რამდენიმე რეკომენდაცია შეიცვალა რჩევით. პროგრამა შესაბამისობაშია კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. ექსპერტმა ჟუჟუნა ხაჭაპურიძემ ინგლისურენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როდესაც სილაბუსების შედარება მოხდა, არჩევითი საგნის სილაბუსებში უფრო ჭარბად იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ვიდრე მიმართულების ძირითად საგნებში. შესაბამისად, რეკომენდებულია დაემატოს ინგლისურენოვანი ლიტერატურა მიმართულების ძირითად საგნებს. „ელექტრო და ელექტრონიკის ინჟინერიის საფუძვლებთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ სპეციალობის სავალდებულო კურსის საგანს არ წარმოადგენს „ელექტრო და ელექტრონიკის ინჟინერიის საფუძვლები“ იმიტომ, რომ ეს არის ზოგადი დისციპლინური დარგი, რომელიც გადატანილი უნდა იყოს საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ჩამონათვალში.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში მე-9 გვერდზე, ბოლო აბზაცში მითითებულია შემდეგი: „ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ შემოთავაზებულ ტერმინების განმარტებას კლასიფიკატორში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კლასიფიკატორში ტერმინი სწორად არის მოხსენიებული, რაც ჩარჩოს განმარტებით ნაწილში,



განსხვავებულადაა წარმოდგენილი“. მას აინტერესებდა, რომელ ტერმინზეა საუბარი მოცემულ წინადადებაში. ექსპერტმა ჟუჟუნა ხაჭაპურიძემ განაცხადა, რომ ტერმინები „სურსათი“ და „საკვები“ გაიმიჯნა ერთმანეთისაგან. ინგლისურ ენაში „Food“ ნიშნავს სურსათს, რომელსაც ადამიანი მოიხმარს საკვებად ყოველდღიურად, ხოლო „Feed“ ნიშნავს ცხოველის საკვებს. შესაბამისად, ტერმინი „Food“ კლასიფიკატორში ნათარგმნია როგორც საკვები-პროდუქტები და სასმელები. საქართველოში არსებული კანონმდებლობის მიხედვით, „Food“ ნიშნავს სურსათს. შესაბამისად, სურსათი კლასიფიკატორში განმარტებული უნდა იყოს როგორც საჭმელი და სასმელი. ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, სასწავლო სილაბუსებში მოცემულია რუბრიკა „ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები“. მას აინტერესებდა, რომელი ნორმატიული დოკუმენტით ისარგებლა დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერების გაკეთებისას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ციციხო თურქაძემ განაცხადა, რომ სასწავლო სილაბუსებში მოცემული რუბრიკა „ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები“ ეფუძნება საქართველოში არსებულ კანონმდებლობას, მინისტრის მე-3 ბრძანებასა და საუნივერსიტეტო მიდგომას. ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ მინისტრის მე-3 ბრძანებამ განიცადა ცვლილებები. შესაბამისად, სასწავლო სილაბუსებში ეს ცვლილებები არ არის ასახული. ციციხო თურქაძის თქმით, ბრძანებაში რეკომენდაციის სახით ჩამოთვლილია შეფასების ფორმები, თუმცა მარტო ეს ბრძანება არ არის განმსაზღვრელი შეფასების ფორმების. მისი აზრით, დაწესებულება არ არღვევს მინისტრის მე-3 ბრძანებას და უნივერსიტეტის ჩანაწერები წინააღმდეგობაში არ მოდის მასთან. საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ, კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაში მითითებულია პრაქტიკა, თუმცა სასწავლო გეგმაში არ არის მითითებული. მას აინტერესებდა, რამ გამოიწვია სასწავლო გეგმაში პრაქტიკის მითითებლობა. გარდა ამისა, ერმილე მესხიამ იკითხა, კურსდამამთავრებულებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება რა ფორმით ხდება. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს 3 არჩევითი ბლოკი, საიდანაც სტუდენტმა სხვადასხვა სემესტრში უნდა აირჩიოს საგანი. პროგრამაში წერია, რომ „სტუდენტი ირჩევს“, თუმცა ჯგუფის ფორმირება როგორ ხდება, არ ჩანს. მისი თქმით, „მსოფლიო ხალხთა კულინარულ ხელოვნებაში“ სხვადასხვა ქვეყნის კულინარიის ნიმუშის მომზადება უწევს სტუდენტს. მას აინტერესებდა, როგორ ხდება ამ ლაბორატორიული სამუშაოების ორგანიზება და დაფინანსება. პროგრამის ხელმძღვანელმა, მანანა ქარჩავამ უპასუხა ერმილე მესხიას დასმულ შეკითხვებს. მან განაცხადა, რომ კერძების მომზადების დაფინანსების საკითხი წყდება შემდეგნაირად: პროდუქტი ნედლეული, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კერძის მოსამზადებლად, ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. მისი თქმით, იდება ხელშეკრულება შესაბამის ორგანიზაციასთან, რომელიც უზრუნველყოფს ნედლეულის მიწოდებას უნივერსიტეტისათვის. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ როგორც სასწავლო გეგმაში, ისე პროგრამაში არის საწარმოო პრაქტიკა გათვალისწინებული. ციციხო თურქაძემ განაცხადა, რომ კვალიფიკაციის მინიჭება ხდება სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციით 240 კრედიტის ათვისების შემთხვევაში. მანანა ქარჩავამ აღნიშნა, რომ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში უნივერსიტეტს კომუნიკაცია აქვს „კაუნასის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან“. პროგრამაში არჩევითი საგნების სიმრავლეა, თუმცა ძირითადად გამოყოფილია სამი მიმართულება, რომელიც პროგრამაში მოდულად არ ჩანს. უნივერსიტეტმა გაიზიარა „კაუნასის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტი“ პრაქტიკა. კერძოდ, როდესაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს არჩევითი საგანი, დაწესებულება რეკომენდაციას უწევს არჩევითი საგნიდან თუ რომელი საგანი უნდა აირჩიოს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უფრო კარგად იცის, თუ რომელი საგანი დასჭირდება სტუდენტს დარგობრივი ცოდნის გასაღრმავებლად.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო:**

**14:25**

**დასრულების დრო: 14:33**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის" საბაკალავრო პროგრამაზე დაწესებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე -13

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებული ადმინისტრაციული წარმოება.

**2. მეორე საკითხი:** სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 02 თებერვალი, N53930
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება (0413)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ვაჟა-ფშაველას ქ. №32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ერმილე მესხიამ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს შემოუერთდა ხათუნა თოდაძე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტი ეკა ლეკაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული იყო 4 რეკომენდაცია. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსების ლიტერატურის განახლებას (1.5 კომპონენტი), მეორე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადების გააქტიურებას სასწავლო მასალების მოდერნიზაციის საკითხთან მიმართებაში (2.3 კომპონენტი), მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტთა ინფორმირებულობის ხარისხის ზრდას საბიბლიოთეკო ბაზებთან დაკავშირებით (3.1 კომპონენტი), ხოლო მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას პერსონალის შეფასების მოდელთან დაკავშირებით. ეკა ლეკაშვილის თქმით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია იყო ინფორმაციული ხასიათის, რომელსაც არ ახლდა მტკიცებულებები რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოხდა დოკუმენტების გამოთხოვა ექსპერტების მიერ. დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი დამატებითი დოკუმენტები: შეცვლილი სილაბუსები და ცვლილებების დამტკიცების ოქმი, ინფორმაცია აკადემიური, მოწვეული პერსონალის გადამზადებისა და ტრენინგის შესახებ და უნივერსიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა. ამრიგად, აღნიშნული რეკომენდაციებიდან 3.1 კომპონენტში მოცემული რეკომენდაცია სრულად შესრულებულია, ხოლო 1.5 და 2.3 კომპონენტში მოცემული რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია. მისი თქმით, დაწესებულებამ წარმოადგინა უკუკავშირი შეფასებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. სილაბუსებში ლიტერატურის გადამუშავების საკითხი კვლავ მიმდინარეობს პროცესშია. არსებობს სილაბუსების ნაწილი, სადაც არ არის ქართულენოვანი ლიტერატურა. შესაბამისად, მიმდინარეობს რიდერების მომზადება. ეკა ლეკაშვილის თქმით, შეცვლილ სილაბუსებში, განახლებული ლიტერატურა ემატება ძველ ლიტერატურას და წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურა ძალიან დიდი მოცულობისაა. ამ მიმართულებით დაწესებულებამ უნდა იმუშაოს. გარდა ამისა, კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი საჭიროებს პროფესიულ გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, თუმცა არ ჩანს თუ რა მიმართულებით მოითხოვენ ისინი კვალიფიკაციის ამაღლებას. უნივერსიტეტმა ამაზე უნდა იმუშაოს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ

დაწესებულების მიერ ინფორმირებულობის დონის დაძლევა განხორციელდა იმით, რომ აღნიშნული კვლევის შედეგები საჯაროდ იქნა განხილული და ინფორმაცია მიეწოდა პერსონალს იმ გამოკითხვის შედეგების შესახებ, რაც ხარისხის სამსახურმა ჩაატარა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, სოფო თავაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი დაწესებულების მიერ შესრულებულია. მისი თქმით, დარჩენილია ორი სასწავლო კურსი, რომელშიც მიმდინარეობს რიდერების მომზადება იმიტომ, რომ ქართულ ენაზე არ მოიპოვება უახლესი ლიტერატურა. შემოდგომის სემესტრზე ჩატარდება მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა და შედეგების შესაბამისად განხორციელდება შესაბამისი ზომები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა დრო დასჭირდება უნივერსიტეტს შეუსრულებელი რეკომენდაციების შესასრულებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა სოფო თავაძემ უპასუხა, რომ რიდერების მომზადების სამუშაოები დაიწყო ზაფხულში, რომელიც დასრულდება მიმდინარე სემესტრის ბოლოს. მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევის დასრულებაც იგეგმება მიმდინარე სემესტრის ბოლოს.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 14:44**

**დასრულების დრო: 14:51**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „კულტურის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**3. მესამე საკითხი:** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
---	--

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	31/08/2017 № 61
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პროგრამული უზრუნველყოფის დააპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი #53ა; თბილისი, საქართველო, 0179
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

### საბჭოს სხდომა დატოვა ლევან ნიკოლეიშვილმა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

### მესამესაკითხის ზეპირი მოსმენა

### ექსპერტების პოზიციის განხილვა

### საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი მანანა ხაჩიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და კოლეგების მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როდესაც რეკომენდაციები გაცემული არის იმ შეფასებებზე, რომლებიც დაკავშირებულია კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანაზე, ძირეული ცვლილებების განხორციელება პროგრამის მიზნებსა და შედეგებში

დაუშვებელია. ამრიგად, თუ შეიცვალა შედეგი და მიზანი პროგრამის, მთლიანად პროგრამა შეიცვლება. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი ბაია ჯაფარიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაითვალისწინა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 14:56**

**დასრულების დრო: 14:59**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე -13

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**4. მეოთხე საკითხი:** შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912, მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186 თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. № 3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

**საბჭოს შემოუერთდნენ ლევან ნიკოლეიშვილი, თამარ სირაძე, ნინო ჭალაგანიძე და ასევე მოწვეული საბჭოს წევრები.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

საერთაშორისო ექსპერტი აზიმ მირზაზადე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ პროგრამაზე ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 – 27 ივლისს. მისი თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია, ვერ მოხერხდა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრა. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა განხორციელდა ყველა სხვა დაინტერესებულ მხარესთან. ექსპერტთა პანელმა დაათვალიერა, როგორც უნივერსიტეტის კამპუსში მდებარე სხვადასხვა რესურსები, ისე კლინიკები. აზიმ მირზაზადემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდებულია, შეიქმნას და განვითარდეს მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების სისტემა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პირველი სტანდარტი ორიენტირებულია არა სტუდენტის, არამედ პროგრამის შეფასებაზე. შესაბამისად, მსგავსი სისტემის შექმნა უნივერსიტეტს დაეხმარებოდა მეტი კონცენტრაციის გაკეთებაზე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდებულია, სწავლის შედეგების მისაღწევად საკონტაქტო საათების უფრო სწორი განაწილება. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ჩათვალა, რომ რეკომენდაცია არ გადასულიყო რჩევაში.

საერთაშორისო ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სემინარებზე კონცენტრირებასთან დაკავშირებით შეფასებისა და სწავლა-სწავლების ნაწილში უნდა მოხდეს ერთმანეთისაგან

აღნიშნული საკითხების გამიჯვნა, რათა ამან არ გამოიწვიოს გაურკვეველობა. გარდა ამისა, სასურველია სწავლა-სწავლებისთვის განკუთვნილი დროის შემცირება. აზიმ მირზაზადეს თქმით, მისასაღმებელია, რომ დაწესებულებას აქვს შემუშავებული ისეთი კურსები, რომლებიც ორიენტირებულია პროფესიულ ასპექტებზე, თუმცა როდესაც რაიმე ტიპის სიახლის დანერგვა ხდება პროგრამაზე, აუცილებელია ეს განხორციელდეს ხარისხიანად და თანმიმდევრულად. შესაბამისად, რეკომენდებულია გადაიხედოს პროფესიული ასპექტების კურსების შინაარსი. მან განაცხადა, რომ არა მხოლოდ ამ პროგრამაზე, არამედ სხვა პროგრამებზეც არსებობს სწავლა-სწავლების მრავალი მეთოდი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია. მისი თქმით, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები ძირითადად კონცენტრირებულია მხოლოდ ლექციებსა და სემინარებზე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს შეფასების მეთოდების დივერსიფიკაცია ძირითად კურსებში. მედიცინის პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე რეკომენდებულია კლინიკურ ფაზაში მეტი შესაძლებლობა გამოიყოს პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობისთვის. მისი თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს მედიცინის განახლებულ დარგობრივ მახასიათებელთან, ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ ჩათვალა, რომ პორტფოლიოს, როგორც შეფასების ერთ-ერთი სავალდებულო მეთოდის ინტეგრირება მოხდეს სწავლის მენეჯმენტის სისტემაში.

აზიმ მირზაზადემ განაცხადა, რომ ვიზიტის დროს განხორციელებული დისკუსიების ფარგლებში საუბარი იყო კლინიკებში წარსადგენი სტუდენტების რაოდენობასა და იმ სივრცეების საკითხზე, რომლებსაც სტუდენტები დაიკავებდნენ კლინიკურ სწავლებაში. იმ შემთხვევაში თუ არ იქნებოდა სტუდენტების დიდი რაოდენობა, მაშინ გათვალისწინებული იქნებოდა ფაკულტეტის გარეთ სხვა ადამიანური რესურსის ჩართვა. მან აღნიშნა, რომ რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის უფრო მეტად გადამზადება სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიებში. ასევე აუცილებელია, უნივერსიტეტი მხარში დაუდგეს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს პროფესიულ განვითარებაში და მისცეს მეტი შესაძლებლობა, გაიარონ ტრენინგები დარგის მიმართულებით. რეკომენდებულია გამოყოფილი იყოს სივრცეები, სადაც სტუდენტები შეძლებენ პროფესიონალი ექიმებისა და პაციენტების ინტერაქციაზე დაკვირვებას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ვიზიტის დროს დაწესებულება იყენებდა კლინიკაში ერთი და იგივე სასწავლო ოთახს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების სასწავლებლად, რაც მიუღებელია.

საერთაშორისო ექსპეტის შეფასებით, უნივერსიტეტს შექმნილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ცნობილია, რომ მედიცინა თავისი არსით განსხვავებული საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც მოითხოვს ეფექტურ მორგებას ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაზე. საკმარისი არ არის ის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში უკვე არსებულ კითხვარზე დაემატოს რამდენიმე შეკითხვა, რომელიც იქნება კონცენტრირებული მედიცინის სპეციფიკაზე, არამედ საჭიროა მედიცინაზე სპეციფიკური მიდგომების შემუშავება და განვითარება. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტს კარგად აქვს შემუშავებული პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, თუმცა ამ გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას დასჭირდება გაცილებით უფრო დიდი რესურსი, ვიდრე ახლა აქვს. შესაბამისად, რეკომენდებულია, გადაიხედოს გეგმა ან გამოიყოს მეტი რესურსი ამ გეგმის ოპტიმალურად შესრულებისათვის.

საერთაშორისო ექსპერტმა განაცხადა იმ კლინიკებიდან, რომლებიც ექსპერტებმა ნახეს ვიზიტისას, ერთ-ერთი კონცენტრირებული იყო რეაბილიტაციაზე. მან დასძინა ის, რომ იმ კლინიკებთან, რომლებთანაც დაწესებულებას ურთიერთობა აქვს, სტუდენტები ისე არიან გადანაწილებულები, რომ შეუძლებელია ამ კლინიკების ფარგლებში მიმდინარე კლინიკური სწავლების განხორციელება. მნიშვნელოვანია, დაწესებულებას ჰქონდეს ისეთი სისტემა, რომლის საშუალებითაც უნივერსიტეტი შეძლებს გააკონტროლოს კლინიკური სწავლების პროცესის ხარისხი.



ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის არსებობისა და განხორციელებისთვის დაწესებულება დამოკიდებულია სტუდენტების გადასახადებზე. ამიტომ, საჭიროა ფინანსური მდგრადობის არსებობა დაწესებულებაში.

ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ყველა წიგნი არის, რომელიც მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტს გამოადგება სწავლის პროცესში, თუმცა ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ ერთი წიგნი განკუთვნილი იყო 60 სტუდენტზე. შესაბამისად, რეკომენდებულია ნაბეჭდი წიგნების მეტი რაოდენობით შექმნა.

აზიმ მირზაზადეს თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მოინახულა ლაბორატორიები და სიმულაციური ცენტრები, რომლებსაც დაწესებულება ფლობს, თუმცა სასურველია არსებობდეს ამ ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრების გამოყენების გეგმა იქიდან გამომდინარე, რომ მათი მოცულობა უფრო მცირეა, ვიდრე იმ სტუდენტების რაოდენობა, რომელთა მიღებასაც აპირებს დაწესებულება.

მან ასევე განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა მიიღო გარკვეული რეკომენდაციები ინგლისური ენის დონესთან დაკავშირებით, რომელიც მოთხოვნილი იყო ადგილობრივი სტუდენტებისთვის. მისი აზრით, დაწესებულებამ უნდა მოახერხოს ის, რომ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ სტუდენტებისთვის განისაზღვროს ინგლისური ენის კომპეტენციის თანაბარი დონე.

გარდა ამისა, ზოგიერთ სილაბუსში იყო შენიშვნები სწავლის შედეგების მისაღწევ საკონტაქტო საათების რაოდენობასთან დაკავშირებით.

ასევე, რეკომენდებული იყო სასწავლო კურსი „ენზიმოლოგია“ გადავიდეს სწავლების ადრეულ ეტაპზე და ისწავლებოდეს საბაზისო კურსებთან ერთად, ხოლო „საექიმო სამართალი“ სავალდებულო კურსების ჩამონათვალში. მან განაცხადა, რომ „შესავალი კლინიკურ უნარების“ 1 და 2 კურსებში იყო გარკვეული გადაკვეთები, გადაფარვები შინაარსობრივად, რაც მიუღებელია.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

პროგრამის ხელმძღვანელი, ჯილდა ჭეიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ პროგრამის აკრედიტაციის პროცესი სრული თანამშრომლობის ფონზე წარიმართა. დაწესებულებას ჰქონდა საშუალება დაეფიქსირებინა პროგრამის, როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარე. უნივერსიტეტის სურვილი იყო, რომ ექსპერტებს ენახათ დაწესებულების მფლობელობაში არსებული სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, თუმცა მათ გადაწყვიტეს სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ნაცვლად მოენახულებინათ კლინიკა, რაც მისაღებია იმიტომ, რომ კლინიკა უფრო დიდი როლს თამაშობს მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების უზრუნველყოფაში, ვიდრე სტუდენტური საერთო საცხოვრებელი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სტუდენტური საერთო საცხოვრებელი არის უნივერსიტეტის საკუთრებაში, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს. მისი თქმით, დაწესებულებას მიეცა იმის საშუალება, რომ ექსპერტებს ენახათ ის მატერიალური რესურსები, რომლებიც უნივერსიტეტს გააჩნია.

ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიგნებებს გაეცნო დაწესებულება, რომელშიც გამოკვეთილი იყო ოთხი ძირითადი მიმართულება კერძოდ, პროგრამა, ბიუჯეტის სიმყარე, მატერიალური რესურსები და პროგრამის შესახებ ცნობიერება ყველა დონეზე. ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ 5 რეკომენდაცია ამოღებული იქნა, რაც მისასაღებელია. უნივერსიტეტი ეთანხმება იმ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია პროგრამის ხარისხიანი განვითარებისა და განხორციელებისათვის. უნივერსიტეტი პროგრამაზე ჯამში იღებს 360 სტუდენტთა რაოდენობას, ე.ი. წელიწადში 60, ხოლო სემესტრში 3 ჯგუფი ჯამში 30 სტუდენტს. მისი თქმით,

რეკომენდაციათა ნაწილი დასკვნაში დუბლირებული სახით არის მოცემული. შესაბამისად, რეკომენდაციათა ნაწილს დაწესებულება არ იზიარებს. გარდა ამისა, რამდენიმე რეკომენდაცია შეუსაბამოა ქართულ კანონმდებლობასთან.

ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, რეკომენდებულია, რომ შეიქმნას და განვითარდეს მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების შესაძლებელი და ქმედითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მყარ მტკიცებულებებს სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ. აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს. უნივერსიტეტს აქვს გარკვეული სისტემა ჩამოყალიბებული, თუმცა მას ისე განავითარებს, როგორც ექსპერტები მოითხოვენ.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რათა სწავლის შედეგები შეფასდეს პროგრამაში და სილაბუსებში აღწერილი მეთოდების მიხედვით მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, ჯილდა ჭეიშვილის თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია დუბლირებულია 23-ე რეკომენდაციასთან, რომლის შინაარსი შემდეგია: დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც შექმნილია სპეციალურად მედიცინის პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისთვის. მოცემულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი იზიარებს მხოლოდ მე-5 სტანდარტის ფარგლებში და არა ორივე რეკომენდაციას ერთად.

რეკომენდებულია, რომ პროგრამასა და ინდივიდუალურ სილაბუსებში მოცემული სწავლის შედეგების მისაღწევად, განსაკუთრებით პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, გადაიხედოს საკონტაქტო საათების რაოდენობა. აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველია 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივა, სადაც მედიცინის პროგრამისთვის ასახულია 5500 საკონტაქტო საათი. ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა და შესაბამისად, უნივერსიტეტს არ ევალება ამ ევროდირექტივის შესრულება. გარდა ამისა, 2005 წლის შემდეგ 2013 წელს მიღებული იქნა ახალი დირექტივა, სადაც ასევე ასახულია 5500 საკონტაქტო საათი, თუმცა მასში ხაზგასმულია მინიმალური სწავლების პერიოდი - არანაკლებ 5 წელი. მან განაცხადა, რომ საქართველომ 2018 წელს მოიპოვა აღიარება „WFME“-ის მიერ და არც ამ ორგანიზაციის სტანდარტი და არც ადგილობრივი სტანდარტი არ მოიცავს 5500 საკონტაქტო საათის მოთხოვნას. შესაბამისად, პროგრამა ეფუძნება „WFME“-ის მოთხოვნებს, მედიცინის დარგობრივ მახასიათებელსა და შრომის ბაზრის კვლევას. მისი თქმით, არანაირი ვალდებულება, უსდ-ს არ აქვს, რომ 1 კრედიტი აუცილებლად 30 საათს გაუტოლდეს. დარგობრივ მახასიათებელში იკვეთება მხოლოდ მოცულობა მინიმალური 360 კრედიტი და ხანგრძლივობა, მინიმუმ 6 წელი.

რეკომენდებულია, რომ სამედიცინო სამართლის შესავალი გახდეს სავალდებულო კურსი. აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს. მისი თქმით, სასწავლო კურსში „პროფესიული ასპექტები 1“ ისწავლება გარკვეული სამართლებრივი და ბიოეთიკის საკითხები. მოცემულ კურსში სტუდენტი სწავლობს ეთიკურ პრინციპებსა და სამართლებრივ რეგულაციას შორის ურთიერთობას, ადამიანურ ღირებულებებს, , პაციენტის ანონიმურობას (DNR), კონფიდენციალურობასა და ინფორმირებულ თანხმობას. „სამედიცინო სამართალი“ სწავლობს იმას თუ რა განასხვავებს სამედიცინო სამართალს ჯანმრთელობის სამართლისაგან და ბიოეთიკისაგან, ფლობს პაციენტთა დაცვის სფეროში არსებულ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს და ა.შ. შესაბამისად, სამედიცინო სამართლის განმახორციელებელი პერსონალი ფიზიკურად ვერ მოახდენს სამედიცინო მიმართულებით ამ საკითხების სრულად დაფარვას.

რეკომენდებულია „ენზიმოლოგიის“ კურსის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ამჟამად მეშვიდე სემესტრშია შემოთავაზებული, მოხდეს მისი გადატანა სასწავლო გეგმის საბაზისო ფაზაში. ჯილდა ჭეიშვილის თქმით, აღნიშნული სასწავლო კურსი არის არჩევითი და არა სავალდებულო. გარდა ამისა, ის ისწავლება არა მე-7, არამედ მე-8 სემესტრში. აღნიშნული კურსის გადატანა სასწავლო გეგმის საბაზისო ფაზაში არ არის რაიმე შედეგის მომცემი.

რეკომენდებულია, სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების, სწავლებისა და სწავლისთვის (სემინარებისთვის) განკუთვნილი დრო. უმეტეს შემთხვევაში, შეფასებები შედის „სემინარში“, რომელიც წარმოდგენილია როგორც სწავლებისა და სწავლის მეთოდი მედიცინის პროგრამაში. მან განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დუბლირებულია მე-3 რეკომენდაციასთან.

"დერმატოვენეროლოგიის" კურსს კვირაში ორი სალექციო საათი ეთმობა, ხოლო დანარჩენი პრაქტიკულ მეცადინეობას. მოცემული კურსის სილაბუსი შემუშავებულია ასოცირებული პროფესორის მიერ, რომელიც თვლის, რომ სრულად საკმარისია „დერმატოვენეროლოგიის“ კურსს კვირაში ორი სალექციო საათი დაეთმოს და ორიენტირებული იყოს პრაქტიკულ სწავლებაზე, რომელიც განხორციელდება კლინიკაში.

ჯილდა ჭეიშვილის თქმით, უნივერსიტეტი მე-7 და მე-8 რეკომენდაციას იზიარებს. მისი თქმით, მოხდება სილაბუსის დაზუსტება. მე-8 რეკომენდაცია ეხებოდა ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებას, რომელიც უკვე თითქმის გასწორებულია. შესაბამისად, უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ ის უნდა იყოს რჩევა და არა რეკომენდაცია, რადგან ის სისტემური ხასიათის არ არის და წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ უზუსტობას.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ენობრივი კომპეტენციის მოთხოვნა მიღების პროცესში გარკვეულ დისბალანსს ქმნის ადგილობრივ (ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ) და უცხოელ სტუდენტებს შორის. ადგილობრივმა სტუდენტებმა ან წარმატებით უნდა გაიარონ უნივერსიტეტის შიდა B2 დონის გამოცდა ან, უნდა წარადგინონ სერტიფიკატი. ჯილდა ჭეიშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ნებისმიერი სახის სერტიფიკატის მოთხოვნა ან რაიმე ტიპის დამატებითი ვალდებულების დადგენა (შიდა გამოცდა) ეწინააღმდეგება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს და ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებას. „სასწავლო პროცესის დებულების“ მიხედვით ინგლისურ ენაში განისაზღვრება 85% + 1, რომელიც შეესაბამება B1 + დონეს. მინიმალური B1 დონე არ ზღუდავს დაწესებულებას B2 ან C1 დონით მიიღონ სტუდენტები.

უნივერსიტეტი მე-10, მე-11 და მე-12 რეკომენდაციას იზიარებს. მისი თქმით, გადაიხედება პროფესიული ასპექტების კურსების შინაარსი, რომლებიც თანდათან დაიწყება და გართულდება და აქცენტი მედიცინის სტუდენტის რეალურ საჭიროებებზე გაკეთდება.

გარდა ამისა, ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ გადაიხედება კურსების უმრავლესობის სილაბუსები, რათა ისინი შეიცავდეს სწავლებისა და სწავლის შესაბამის მეთოდებს, რაც სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. პრეკლინიკურ საგნებზე დაფუძნებულ კურსებში, ლექციის გარდაუფრო ორიენტირებული იქნება სტუდენტის სწავლა - სწავლების მეთოდებზე. ასევე, დაინერგება პრაქტიკული და პროფესიული უნარების გადაცემისთვის შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები.

ჯილდა ჭეიშვილმა მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწყებულია უკვე მოლაპარაკება შესაბამის კომპანიებთან სხვადასხვა პლატფორმის შექმნასთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაწესებულება მე-13 რეკომენდაციას იზიარებს, ხოლო მე-14 რეკომენდაციას არ იზიარებს. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის/სასწავლო კურსების შეფასების არცერთ კომპონენტში არ გამოიყენება MINI – CEX გამოცდა სწავლის შედეგების მისაღწევად. ექსპერტთა ჯგუფი ყველა სასწავლო კურსის სილაბუსიგნობდა. ჯილდა ჭეიშვილს აინტერესებდა, თუ რომელ სილაბუსში იპოვეს ექსპერტებმა აღნიშნული შეფასების მეთოდები.

რეკომენდებულია, დაზუსტდეს იმ ადამიანების კვალიფიკაცია და სტატუსი, რომლებიც ჩართულები არიან სტუდენტების სწავლა-სწავლების პროცესში და არ არის ფაკულტეტის წევრები- აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტი არ იზიარებს. მან ექსპერტებისაგან მოითხოვა საბჭოსთვის პერსონალის სიის გაზიარება თუ ვისზე იყო საუბარი. მისი თქმით, პერსონალის სია და CV გაზიარებული იყო და ინსტიტუციისთვის გაუგებარია კონკრეტულად ვისზე არის საუბარი.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა აკონტროლოს პერსონალის რაოდენობა (სასწავლო და ადმინისტრაციული), რათა შენარჩუნდეს სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება, და ასევე უნდა გაზარდოს იმ ექიმების რაოდენობა,

რომლებსაც აქვთ კლინიკური პრაქტიკა. აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს. ჯილდა ჭეიშვილის თქმით, პროგრამა ახალია. შესაბამისად, ამჟამად 360 სტუდენტისათვის მინიმუმ 2 განმახორციელებელი პირია თითოეული კლინიკური კურსისთვის გამოყოფილი. პერსონალის რაოდენობის მოძიების მონიტორინგი მუდმივი და დინამიკური პროცესია. ამ კუთხით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შესაბამისი რეგულაციები, რომლებსაც გაეცნენ ექსპერტები. მან ხაზი გაუსვა რეკომენდაციის ბოლო წინადადებას კერძოდ: უნდა გაიზარდოს იმ ექიმების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ კლინიკური პრაქტიკა. ჯილდა ჭეიშვილმა ექსპერტებისაგან მოითხოვა იმ ლექტორების სახელები და გვარები, რომლებიც კლინიკურ სასწავლო კურსებშიარის მითითებულისამედიცინო პერსონალი არ არის ჩართული პროგრამის კლინიკური როტაციების განხორციელების პროცესში, რაც დასტურდება სილაბუსებითა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით.

ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ მე-17 და მე-18 რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს, როგორც რჩევის სახით. მე-17 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტები ნარატივში აღნიშნავდნენ, რომ უნივერსიტეტმა დიდი წვლილი შეიტანა ამ მიმართულების განვითარებაში. დაწესებულებამ ჩამოიყვანა უცხოელი სპეციალისტები მედიცინის მიმართულებით, რომლებმაც გადაამზადეს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში არსებული პერსონალი. მისი თქმით, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ. გარდა ამისა, აღნიშნული ინფორმაცია გაწერილია, როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმაში, ისე პროგრამის ბიუჯეტში. ჯილდა ჭეიშვილმა მე-18 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ მოწოდებულ დასკვნაში წერია შემდეგი: ინტერვიუებისას პროგრამის განმახორციელებლებმა დაადასტურეს უნივერსიტეტის მხარდაჭერის არსებობა სამეცნიერო მიმართულებით. მისი თქმით, ფაკულტეტის წევრებისთვის მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და სასწავლო სფეროში მათი აკადემიური განვითარების მხარდაჭერა მიმდინარე პროცესშია.

რეკომენდებულია, რომ შემუშავდეს უნივერსიტეტის ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის გამოყენების დეტალური გეგმა, რათა უზრუნველყოფილი იქნას დიდი რაოდენობის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობა (60 სტუდენტი იმ ლაბორატორიებში, რომლებსაც მხოლოდ 10 სტუდენტის ტევადობა აქვთ თითოეულ ჯერზე). ჯილდა ჭეიშვილმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს გაუზიარა საკლინიკო სიმულაციური ცენტრის მოკლე მონახაზი „Powerpoint“-ის ფაილით. მისი თქმით, უნივერსიტეტს აქვს 5 სასწავლო ოთახი, რომელზეც საუბარია როგორც თვითშეფასების დოკუმენტში, ისე არგუმენტირებულ პოზიციაში. ეს 5 სასწავლო ოთახი მხოლოდ 180 სტუდენტისთვის არის გამოყოფილი, რომელიც აღჭურვილია აუდიო-ვიდეო მოწყობილობით. მათი გადანაწილება მოხდება ისე, რომ 105-ე აუდიტორია კვირაში დაიტვირთება მხოლოდ 6 საათით. გარდა ამისა, 106-ე აუდიტორია დაიტვირთება 6 საათით, 107-ე აუდიტორია - 9 საათით, 108-ე აუდიტორია - 15 საათით, ხოლო 109-ე აუდიტორია - 9 საათით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ თითოეული ოთახი საშუალოდ არის 25-30 კვადრატული.

ანატომიის სამედიცინო სასწავლო ლაბორატორიასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ანატომია“ ისწავლება პირველი ოთხი სემესტრის განმავლობაში, რომელსაც ერთი სალექციო და ორი სასემინარო საათი აქვს გამოყოფილი. პრაქტიკული მეცადინეობა ჩატარდება ანატომიის ლაბორატორიაში, სადაც განთავსებულია ანატომიური და შესაბამისი მანეკენები. აუდიტორიის ჯამური დატვირთვა კვირაში შეადგენს 24 საათს, რაც სრულებით მისაღებია. „ჰისტოლოგიის“ პრაქტიკული მეცადინეობები ერთ ოთახში ტარდება. აუდიტორიის ჯამური დატვირთვა კვირაში 24 საათს შეადგენს. „ბიოქიმიისა“ და „მიკრობიოლოგიის“ სამედიცინო სასწავლო ლაბორატორიის შემთხვევაში აუდიტორიის ჯამური დატვირთვა 30 საათია.

ჯილდა ჭეიშვილის თქმით, დაწესებულება მე-20 და 22-ე რეკომენდაციას იზიარებს, თუმცა არ იზიარებს 21-ე რეკომენდაციას. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ყველა ლიტერატურა ელექტრონული სახით აქვს. მისი აზრით, არ არის აუცილებელი 21-ე

საუკუნეში ყველა ლიტერატურა მატერიალური სახით არსებობდეს იმიტომ, რომ 5 წლის შემდეგ მათი განახლების საჭიროება დგება. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია პრინტერით, სკანერითა და ქსეროქსით. მან დასძინა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებას არარელევანტურად მიაჩნია, როგორც რეკომენდაციის სახით.

ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებს 23-ე და 24-ე რეკომენდაციას. მისი თქმით, 23-ე რეკომენდაცია დუბლირებულია მე-2 რეკომენდაციასთან. მან აკრედიტაციის საბჭოს წევრებს სთხოვა, რომ აღნიშნული შემთხვევა გაეთვალისწინებინათ.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას თუ რამდენად კარგად იცის აბიტურიენტმა ინგლისური ენა B2 დონეზე. შესაბამისად, ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ ინგლისური ენის ცოდნის დონე უნდა ჩამოვიდეს B1 დონეზე ლეგიტიმურია, რადგან თუნდაც მაღალი ზღვრის დაწესების შემთხვევაშიც ერთიანი ეროვნული გამოცდებით ვერ მოხერხდება B2 დონის დადასტურება. მას აინტერესებდა, როგორ შეამოწმებს უნივერსიტეტი ადგილობრივი აბიტურიენტის მიერ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობას და რა სახის მტკიცებულებას მოსთხოვს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა B1 დონეზე რომ მიიღოს სტუდენტი, აუცილებლად შემდგომში მან უნდა გაიაროს ინგლისური ენის B2 დონე იმიტომ, რომ ეს იქნება მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი. მისი თქმით, დარგობრივი სპეციალობისთვის საჭიროა მინიმალური 330 კრედიტი, ხოლო ზოგადი ან თავისუფალი კომპონენტისთვის რჩება მაქსიმუმ 30 კრედიტი. აღნიშნულ სასწავლო პროგრამაში არის დარგობრივი სასწავლო კურსი 337 კრედიტი, ხოლო ზოგადი სასწავლო კურსი 23 კრედიტი. იმისათვის, რომ B1 დონე გახდეს B2 დონე, აუცილებელია 12 კრედიტის არსებობა. უნივერსიტეტს არ აქვს რაიმე მექანიზმი იმისა, რომ შეამოწმოს აბიტურიენტის მიერ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა. დაწესებულებას ადგილობრივ სტუდენტებს იღებს მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდებით. ჯილდა ჭეიშვილის თქმით, საქართველოში არცერთი აკრედიტებული მედიცინის პროგრამა არ იღებს აბიტურიენტს B1 დონით.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლებას აქვს თავისი სპეციფიკური მოთხოვნები. მისი თქმით, იმისათვის, რომ პირმა ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელოს პედაგოგიური საქმიანობა, აუცილებელია მას ჰქონდეს საერთაშორისო სერტიფიკატი (Toefl-ის, Ielts-ის ან Cambridge-ის სერტიფიკატი) ან 3 წლიანი ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლების გამოცდილება. ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ გაეცნო პროგრამაში ჩართული რამდენიმე პერსონალის CV-ს, რომლებსაც არ უფიქსირდებოდათ საერთაშორისო სერტიფიკატი (მაგ. ე.პ. , ნ. ბ. და ა.შ.). მას აინტერესებდა, მოხდა თუ არა აკადემიური პერსონალის კომპეტენციების შესაბამისობის შემოწმება მედიცინის დარგობრივ მახასიათებელთან. ექსპერტმა თამარ გოდერიძემ უპასუხა, რომ ექსპერტებს პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის დარგობრივი მახასიათებლით მოპოვებული ინგლისური ენის კომპეტენციის შესაბამისობის შემოწმება დარგობრივ მახასიათებელთან ვერ განხორციელდა, რადგან არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, თუმცა აღნიშნული დოკუმენტაცია დაწესებულებამ წარმოადგინა დასკვნის პროექტის მიღების შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად. უნივერსიტეტი ვალდებული იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის მიეწოდებინა აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაცია.

ხათუნა თოდაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ახალ პროგრამას დარგობრივი მახასიათებელი ავალდებულებს, რომ თავიდანვე შესრულებული იყოს დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ყველა მოთხოვნა. ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ ე. პ.-ს აქვს დიდი ხნის აკადემიური გამოცდილება და მის CV-ში მითითებული არის საქართველოში ავტორიზებული ერთ-ერთი უნივერსიტეტი, რომელიც ახორციელებს ინგლისურენოვან მედიცინის პროგრამას

და იგი ამ პროგრამაშია ჩართული. ჯილდა ჭეიშვილის თქმით, უნივერსიტეტმა ექსპერტებს სააკრედიტაციო განაცხადთან ერთად წარმოუდგინა ყველა აკადემიური პერსონალის CV და არა პირადი საქმე. პირადი საქმის გამოთხოვის უფლება ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფს, რომელსაც არ გამოუთხოვია. ექსპერტმა თამარ გოდერიძემ აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით აკადემიური პერსონალის პირადი საქმის წარმოდგენის ვალდებულება უნივერსიტეტს გააჩნია. ჯილდა ჭეიშვილის თქმით, უნივერსიტეტს აქვს ჩამონათვალი დადგენილი იმის შესახებ თუ რა დოკუმენტის წარდგენა ევალუება ცენტრში. დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო წიქვაძემ აღნიშნა, რომ თვითმეფასების ანგარიშის მიხედვით, წარმოსადგენი ინფორმაციის დოკუმენტაციების ჩამონათვალში აკადემიური პერსონალის CV-ს მიმართებით არსებობს შემდეგი სახის ჩანაწერი: აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV-ები (CV-ში მითითებული უნდა იყოს ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი). მისი თქმით, ადგილზე რა დოკუმენტებიც მოითხოვეს ექსპერტებმა, უნივერსიტეტმა ყველა დოკუმენტი გაუზიარა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ განაცხადა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე და 36-ე მუხლებით დადგენილია სტანდარტი პირის აკადემიურ პერსონალად არჩევის შესახებ. მისი თქმით, ახალი რეგულაციებით, ახალ მოქმედ პროგრამასთან მიმართებით არ შეიძლება დაწესებულებას ჰყავდეს პირი აკადემიურ თანამდებობაზე, რომელიც არ აკმაყოფილებს დარგობრივი მახასიათებლისა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. უნივერსიტეტს შეუძლია აკრედიტაციის საბჭოს გაუზიაროს აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ადმინისტრაციული წარმოებიდან გამომდინარეობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც კანონიერი ნდობის პრინციპი ეწოდება. მოცემულ შემთხვევაში ავთენტური ინტერპრეტატორი, თუ რა დოკუმენტებია საჭირო იმისათვის, რომ დაწესებულება „მაძიებლად“ იცნოს, არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შესაბამისად, თუ ცენტრი დასაშვებად მიიჩნევს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დოკუმენტებს, ამ უკანასკნელის მიღმა დამატებითი ნებისმიერი დოკუმენტის მოთხოვნის უფლებამოსილება გააჩნიათ ექსპერტებს. ექსპერტებს კი ეს უფლებამოსილება არ გამოუყენებიათ.. ამ ფაქტების შესწავლის ვალდებულება და არა უფლებამოსილება აქვს, როგორც ექსპერტებს, ისე აკრედიტაციის საბჭოს.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, რამდენიმე კლინიკური საგნის სილაბუსში შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად მითითებულია მორიგეობა. მორიგეობა არის დამოუკიდებელი მუშაობის საათები და არა საკონტაქტო. მას აინტერესებდა, რატომ არის 4-საათიანი მორიგეობა ჩათვლილი საკონტაქტო საათებად. გარდა ამისა, ქირურგიით დაწყებული და ფსიქიატრიით დამთავრებული, ყველა სილაბუსში წერია, რომ სტუდენტი მუშაობს პაციენტთან ექიმის ზედამხედველობის ქვეშ. მას აინტერესებდა, ვინ ექიმი იგულისხმება აღნიშნულ სილაბუსებში. ექსპერტმა თამარ გოდერიძემ განაცხადა, რომ დღის მანძილზე სტუდენტები წავიდოდნენ კლინიკურ როტაციებზე და კლინიკური საკონტაქტო საათის დამთავრების შემდეგ მოხდებოდა მორიგეობით სტუდენტების კლინიკაში დარჩენა. მისი თქმით, აღნიშნული ფაქტი ექსპერტებისთვის გაუგებარი იყო იმიტომ, რომ გაურკვეველი რჩებოდა ამ ფუნქციის გადაბარება ვის მოუწევდა. შესაბამისად, რეკომენდებულია იმ ადამიანების რაოდენობის გაზრდა, რომლებიც ჩართული იქნებიან ამ პროცესში. ჯგუფში 12 და 10 სტუდენტის არსებობა ერთდროულად ხშირად ქმნის შეფერხებას მუშაობის პროცესში. მაგალითად, ვიზიტის დროს, ენდოკრინოლოგმა, ოჯახის ექიმმა აღნიშნა, რომ თავიანთი კოლეგა არის ჩართული ამ პროცესში, თუმცა, ვინ ახდენს ამ მედ-პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებას ან არის თუ არა უნივერსიტეტი ამაში ჩართული გაუგებარი იყო ექსპერტებისთვის. ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ ყველა კლინიკურ კომპონენტში მინიმუმ ორი განმხორციელებელი ლექტორი იყო გათვალისწინებული. მორიგეობაზე პასუხისმგებელი იყო ლექტორი, რომელსაც ხელშეკრულება დადებული აქვს უნივერსიტეტთან. მისი თქმით, 10

სტუდენტი მორიგეობაზე არ არის ბევრი. დაწესებულება ხელმძღვანელობს დარგობრივი დოკუმენტით, რომლითაც გაწერილია 10 სტუდენტი კლინიკურ კომპონენტში გარდა რეანიმაციისა, სადაც 6 სტუდენტია. გარდა ამისა, ექსპერტები შეხვდნენ არა ენდოკრინოლოგს, არამედ ბავშვთა ენდოკრინოლოგს. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული მორიგეობა გატარებულია საკონტაქტო საათების ქვეშ, რომლებიც სტუდენტს უვითარებს კრიტიკული აზროვნების უნარს. ჯილდა ჭეიშვილის თქმით, ეს არ წარმოადგენს კლასიკურ მორიგეობას, რომლის დროსაც სტუდენტი პორტფოლიოთი უნდა შეფასდეს.

ჯილდა ჭეიშვილის თქმით, უნივერსიტეტი მუშაობს “ WPBA”-ზე. ამ მიმართულებით ჩამოყვანილი იქნა არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან და ოჰაიოდან ტრენერები, რომლებმაც „WPBA“-ის მიმართულებით პერსონალი გადაამზადეს. სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში აკადემიური პერსონალის გადაამზადება მუდმივი პროცესია. ეს გადაამზადება 3 დღიანი იყო, რომელიც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აკადემიურ პერსონალს წარმოდგენა შეექმნას „WPBA“-ზე. ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ არცერთ სილაბუსში გაწერილი არ არის მინი კლინიკური გამოცდა იმიტომ, რომ ამისთვის პროგრამა ჯერ მზად არ არის.

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, რეკომენდებულია არსებითად გადაიხედოს პროფესიული ასპექტების კურსების შინაარსი. ისინი თანდათან უნდა დაიწყოს და გართულდეს და აქცენტი მედიცინის სტუდენტის რეალურ საჭიროებებზე უნდა გაკეთდეს. მას აინტერესებდა, გადის თუ არა პროგრამა დასახული მიზნიდან შედეგზე. საერთაშორისო ექსპერტმა აზიმ მირზაზადემ განაცხადა, რომ როდესაც საუბარია პროფესიული ასპექტების განვითარებაზე, დასკვნაში მოცემულია კონკრეტული კურსები, რომელთა დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფი გულისხმობს ამ საკითხებს. მისი თქმით, ერთ-ერთ კურსში საუბარია ეთიკურ და პროფესიულ საკითხებზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხები ისწავლებოდეს პირველი სემესტრიდან. გარდა ამისა, დარგობრივ მახასიათებელში მოცემული რიგი სწავლის შედეგების მიღწევა რთულია. ამ შედეგების მიღწევისათვის მნიშვნელოვანია ორი საკითხის გამოსწორება, კერძოდ, სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლა-სწავლების მეთოდები.

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ 1.4 ქვესტანდარტის აღწერილობით ნაწილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტები დასკვნაში წერენ შემდეგს: თითოეულ კურსში არის რამდენიმე სესია, რომელიც იყენებს PBL-ს როგორც სწავლების მეთოდს, მაგრამ PBL როგორც სწავლების მეთოდი სტრატეგიული ფორმით არ არის დანერგილი პროგრამაში. მას აინტერესებდა, თუ ეს საკითხი ასეთი მნიშვნელოვანი იყო და ამის აღნიშვნა მოხდა აღწერილობით ნაწილში, რა გახდა იმის მიზეზი, რომ არ გაიცა რეკომენდაცია. აზიმ მირზაზადემ უპასუხა, რომ მიზეზი იმისა თუ რატომ არ მოხდა ამ საკითხის რეკომენდაციათა ჩამონათვალში ასახვა არის ის, რომ სტანდარტის მოთხოვნა სტრატეგიისადმი არ არის განკუთვნილი. შესაბამისად, ექსპერტებმა არ ჩათვალეს მიზანშეწონილად, რომ მას რეკომენდაციის სახე მისცემოდა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს პროგრამა თავისი შინაარსით არ არის PBL, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში იყენებს PBL-ს როგორც ერთ-ერთ სწავლების მეთოდს. შესაბამისად, მისი გამოყენების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, მოხდეს პერსონალის გადაამზადება PBL მეთოდოლოგიის გამოყენების ნაწილში, რაც ამ შემთხვევაში ექსპერტებმა ვერ დაინახეს.

გურანდა ჭელიძემ მე-4 რჩევასთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, შეძლებს თუ არა ტუტორი ისე გაუმდევს სასწავლო კურსს ან პრაქტიკას, რომ პროგრამა მიზანზე გაიყვანოს. ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ უპასუხა, რომ უნივერსიტეტის მიერ სწავლების მეთოდები დასახვეწია და აუცილებელია გადაიხედოს. სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდი არის არასწორად შერჩეული ტერმინოლოგიურად. მისი თქმით, გასაუბრების დროს გამოიკვეთა ის დადებითი მხარე, რომ პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ პერსონალს კარგად ესმის, თუ რა არის სწავლების მეთოდები და როგორ უნდა გამოიყენონ ისინი. იქიდან გამომდინარე, რომ აკადემიურ პერსონალის ნაწილს არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია იმისა, რომ პედაგოგიური საქმიანობა განახორციელოს აღნიშნულ



პროგრამაზე, სწავლება შეიძლება განხორციელებული იყოს თანასწორის მიერ სწავლების (Peer Tutoring-ის) ფარგლებში. ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას არ აქვს PBL პროგრამა. უნივერსიტეტი PBL-ს გამოიყენებს მხოლოდ პროგრამაზე დაფუძნებულ სწავლებას, როგორც სწავლების ერთ-ერთ მეთოდს. გარდა ამისა, დაწესებულება იზიარებს იმ რეკომენდაციას, რომ ტერმინები უნდა დაიხვეწოს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამა არ ითვალისწინებს Peer Tutoring-ს. საერთაშორისო ექსპერტმა აზიმ მირზაზადემ აღნიშნა, რომ დასკვნა ითვალისწინებს ფაკულტეტის გარეთ პერსონალის ჩართულობას კლინიკურ სწავლებაში. არსებობს ისეთი სასწავლო კურსის სილაბუსები, რომლებიც ითვალისწინებს „ტუტორების“ ჩართულობას.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ განაცხადა, რომ პროგრამით იტალიური ენა ისწავლება 4 სემესტრში, რომელსაც ეთმობა ჯამში 16 კრედიტი და არის სავალდებულო სასწავლო საგნების ჩამონათვალში. მას აინტერესებდა, რამ გამოიწვია იტალიური ენის სავალდებულო სასწავლო საგნების ჩამონათვალში ყოფნა. ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ დარგობრივი დოკუმენტი ენობრივ კომპეტენციას განსაზღვრავს მინიმუმ 12 კრედიტს, რომელშიც შედის „ქართული ენა“, რომელსაც უცხოელები სწავლობენ და „იტალიური ენა“, რომელსაც ქართველები სწავლობენ. მისი თქმით, იტალიური ენა რომ შეიცვალოს ინგლისური ენით, პროგრამაზე მიღება მაინც B1 – B2 დონით იქნება. შესაბამისად, როდესაც უცხოელი ისწავლის „ქართულ ენას“, ქართველი უცხო ენად ისწავლის „იტალიურ ენას“. დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, ქართველი სტუდენტებისთვის დაემატება 6 ენა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აღნიშნული პროგრამის გარდა, სხვა არა რეგულირებად ინგლისურენოვან პროგრამაზე უცხოელი სტუდენტები სწავლობენ „ქართულ ენას“. ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ „იტალიური ენა“ ფიზიკურად ვერ იქნებოდა არჩევით საგნად წარმოდგენილი პროგრამაში იმიტომ, რომ დაირღვეოდა სქემა.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა ლევან რატიანმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორ ხდება კლინიკურ დარგში, კერძოდ, მორიგეობის პერიოდში სტუდენტის შეფასება და ვინ აფასებს მას. გარდა ამისა, არის თუ არა თითოეული სტუდენტისთვის თითო სუპერვაიზერი საჭირო და მორიგეობის განმავლობაში როგორ ხორციელდება ეს უკანასკნელი. ჯილდა ჭეიშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტს ამზადებს მომავალ უმცროს ექიმად და არა კრიტიკული მედიცინის სპეციალისტად. მისი მორიგეობის პერიოდში სტუდენტს აფასებს ის, ვინც არის სუპერვაიზერი. სუპერვაიზერი არის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. 30 სტუდენტის გადანაწილება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სტუდენტმა 4-საათიანი მორიგეობა შეასრულოს. ლევან რატიანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სილაბუსში მითითებული უნდა იყოს გადაუდებელი მედიცინა იმიტომ, რომ სტუდენტმა უნდა იცოდეს პირველადი სამედიცინო დახმარება, რაც კრიტიკული მედიცინის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მას აინტერესებდა, სად განხორციელდება პირველადი გადაუდებელი დახმარება და ვის მიერ. ჯილდა ჭეიშვილმა უპასუხა, რომ პირველადი გადაუდებელი დახმარება განხორციელდება კლინიკურ სიმულაციურ ცენტრში საბაზისო ეტაპზე.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა თამარიკო ვალიშვილმა ექსპერტებს მიმართა, რომ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. საერთაშორისო ექსპერტმა აზიმ მირზაზადემ განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაციის მიზანია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. მისი თქმით, სტუდენტის ის შეფასების მეთოდები, რომლებიც სილაბუსებით არის გათვალისწინებული საკმარისი არ არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის. შესაბამისად, სასურველია შეფასების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება იმისათვის, რომ მოხდეს სტუდენტთა მიღწევების რეალური გაზომვა. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ნაწილშიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს სხვადასხვა ტიპის შეფასებები, რომლებიც შეიძლება ეფუძნებოდეს, როგორც სტუდენტთა შეფასების შედეგებს, ისე თვითშეფასებას.



საბჭოს მოწვეულმა წევრმა, მარინე გელანტიამ, კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, პროგრამის განხორციელებისთვის რომელია დაწესებულებისთვის საბაზისო კლინიკები და რომელი კლინიკების მიხედვით არის სტუდენტი გადანაწილებული. ჯილდა ჭეიშვილმა უპასუხა, რომ დაწესებულებას 28 კლინიკასთან აქვს მემორანდუმი გაფორმებული. აფილირების მემორანდუმი მხოლოდ 2 კლინიკასთან აქვს დადებული უნივერსიტეტს, კერძოდ, კამელიელების რეაბილიტაციის ცენტრთან და დავარაშვილის სამშობიარო კლინიკასთან.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 18:02**

**დასრულების დრო: 19:11**

აკრედიტაციის საბჭოს ძირითადმა და მოწვეულმა საბჭოს წევრებმა მხედველობაში მიიღეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. ვინაიდან მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამას, მისი ძირითადი პრინციპები დადგენილია შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესრულებაზე არის არსებითი. დარგობრივი მახასიათებელი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას სასაწავლო პროცესში სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების სწორად განსაზღვრაზე, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმით, სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე გასვლას. შესაბამისად ექსპერტთა დასკვნის ის ნაწილი (1.4 და 1.5 კომპონენტები), რომლითაც განსაზღვრულია სწავლა-სწავლების მეთოდები არის მნიშვნელოვანი. აკრედიტაციის საბჭოს ძირითადი და მოწვეული საბჭოს უმრავლესობის აზრით ზემოაღნიშნულ კომპონენტებში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სწავლის შედეგების სრულად მიღწევა. ამასთან, გარდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციებისა, საბჭომ შეიმუშავა შემდეგი ორი რეკომენდაცია:

1.4 კომპონენტი: რეკომენდებულია, რომ პროგრამაში გაძლიერდეს სწავლების საზოგადოებაზე დაფუძნებული კომპონენტი (განახლებული დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული კომპეტენცია №13).

1.5 კომპონენტი: კლინიკური მიმართულების დისციპლინების სილაბუსებში უნდა გადაიხედოს შუალედური შეფასების კომპონენტები, რათა შესაძლებელი გახდეს მათი ობიექტური შეფასება (მაგალითად, მორიგეობების კომპონენტი).

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ზემოაღნიშნულ კომპონენტებში დაფიქსირებული რეკომენდაციების შინაარსის და საბჭოს ზეპირ მოსმენაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით საბჭომ მიიჩნია, რომ აკრედიტაციის დებულებით დადგენილი შეფასების შკალის მიხედვით (აკრედიტაციის დებულების 26<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტი) აკრედიტაციის პირველი სტანდარტის ორი კომპონენტი, 1.4 და 1.5 ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“ უნდა შეფასებულიყო, როგორც „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“.

## **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ საკითხი.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე -28

წინააღმდეგი - 2

## **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების, ამავე კანონის 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი ეთქვას შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

### **საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:**

1. უნდა შეიქმნას და განვითარდეს მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების შესაძლებელი და ქმედითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მყარ მტკიცებულებებს სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ.
2. რეკომენდებულია სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რათა სწავლის შედეგები შეფასდეს პროგრამაში და სილაბუსებში აღწერილი მეთოდების მიხედვით (მედიცინის პროგრამის შემთხვევაში - მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად).
3. რეკომენდებულია, რომ პროგრამაში გაძლიერდეს სწავლების საზოგადოებაზე დაფუძნებული კომპონენტი.
4. პროგრამასა და ინდივიდუალურ სილაბუსებში მოცემული სწავლის შედეგების მისაღწევად, განსაკუთრებით პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია გადაიხედოს საკონტაქტო საათების რაოდენობა.
5. სამედიცინო სამართლის შესავალი წარმოდგენილია როგორც არჩევითი კურსი, რომელიც, პროგრამის შედეგებიდან გამომდინარე, სავალდებულო უნდა იყოს.
6. ენზიმოლოგიის კურსის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ამჟამად მეშვიდე სემესტრშია შემოთავაზებული, აუცილებელია მისი გადატანა სასწავლო გეგმის საბაზისო ფაზაში.
7. კლინიკური მიმართულების დისციპლინების სილაბუსებში უნდა გადაიხედოს შუალედური შეფასების კომპონენტები, რათა გახდეს შესაძლებელი ობიექტური შეფასება (მაგალითად, მორიგეობების კომპონენტი).
8. სწავლის შედეგების მისაღწევად, აუცილებელია საკონტაქტო საათების უფრო სწორი განაწილება.
9. სილაბუსებში უნდა დაზუსტდეს შეფასებისა და სწავლებისა და სწავლისთვის (სემინარებისთვის) განკუთვნილი დრო. უმეტეს შემთხვევაში, შეფასებები შედის „სემინარში“, რომელიც წარმოდგენილია როგორც სწავლებისა და სწავლის მეთოდი მედიცინის პროგრამაში.
10. საჭიროა გადაიხედოს ისეთი სილაბუსების მიზნები, როგორცაა „კლინიკური მეცნიერების საფუძვლები I“ და „კლინიკური მეცნიერების საფუძვლები II“ მათში არსებული გადაფარვების სამართავად.
11. ენობრივი კომპეტენციის მოთხოვნა მიღების პროცესში გარკვეულ დისბალანსს ქმნის ქართველ (ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ) და უცხოელ სტუდენტებს შორის. ქართველმა სტუდენტებმა ან წარმატებით უნდა ჩააბარონ უნივერსიტეტის შიდა B2 დონის გამოცდა, ან მიღების წინაპირობის სახით უნდა წარადგინონ სერთიფიკატი.


12. არსებითად უნდა გადაიხედოს პროფესიული ასპექტების კურსების შინაარსი. ისინი თანდათან უნდა დაიწყოს და გართულდეს და აქცენტი მედიცინის სტუდენტის რეალურ საჭიროებებზე უნდა გაკეთდეს.
13. გადაიხედოს კურსების უმრავლესობის სილაბუსები, რათა შეიცავდეს სწავლებისა და სწავლის შესაბამის მეთოდებს, რაც სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეკლინიკურ საგნებზე დაფუძნებულ კურსებში, ლექციის გარდა, უფრო აქტიური უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდები. პრაქტიკული და პროფესიული უნარების გადაცემისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები.
14. პროგრამის კლინიკურ ფაზაში მეტი შესაძლებლობა უნდა გამოიყოს პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობისთვის.
15. უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტისა და მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით, რეკომენდებულია პორტფოლიოს/ჩანაწერთა წიგნის, როგორც შეფასების ერთ-ერთი სავალდებულო მეთოდის ინტეგრირება სწავლის მენეჯმენტის სიტემაში.
16. მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსში, სადაც შუალედური გამოცდა ტარდება MINI-CEX-ით, რეკომენდებულია გამოცდის შეფასების ქულების დიაპაზონის გაზრდა იმ პირობით რომ სტუდენტს შეექმნება ბარიერი რომლის ვერ გადალახვის შემთხვევაში, მას არ მიეცემა საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლება.
17. აუცილებელია დაზუსტდეს იმ ადამიანების წვლილი და კვალიფიკაცია სტუდენტების სწავლა-სწავლების პროცესში, რომლებიც არ არიან ფაკულტეტის წევრები.
18. უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა აკონტროლოს პერსონალის რაოდენობა (სასწავლო და ადმინისტრაციული), რათა შენარჩუნდეს სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება, და ასევე უნდა გაზარდოს იმ ექიმების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ კლინიკური პრაქტიკა.
19. აუცილებელია სამედიცინო განათლების სფეროში აფილირებული და მოწვეული პერსონალის განვითარების მხარდაჭერა ინოვაციური სწავლასწავლების მეთოდებისა და შეფასების ჩათვლით.
20. აუცილებელია ფაკულტეტის წევრებისთვის მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და სასწავლო სფეროში მათი აკადემიური განვითარების მხარდაჭერა.
21. შემუშავდეს უნივერსიტეტის ლაბორატორიებისა და სიმულაციური ცენტრის გამოყენების დეტალური გეგმა, რათა უზრუნველყოფის იქნას დიდი რაოდენობის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობა (60 სტუდენტი იმ ლაბორატორიებში, რომლებსაც მხოლოდ 10 სტუდენტის ტევადობა აქვთ თითოეულ ჯერზე).
22. უზრუნველყოფილ იქნეს აფილირებულ კლინიკებში საკმარისი სივრცეები, მათ შორის პაციენტების მონახულების ოთახები და სასწავლო ოთახები, სტუდენტების კლინიკური როტაციისათვის.
23. ბიბლიოთეკაში უნდა გაიზარდოს მოთხოვნადი წიგნების რაოდენობა, რომლებსაც მეტი სტუდენტი გამოიყენებს და გაიცემა დროებითი სარგებლობისათვის.
24. შემუშავდეს უნივერსიტეტის მიერ კლინიკური განათლების ხარისხის ზედამხედველობის სათანადო სისტემა ასე დიდი რაოდენობის ტერიტორიულად გაფანტული კლინიკების გათვალისწინებით.
25. დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც შექმნილია სპეციალურად მედიცინის პროგრამის განსახორციელებლად და განვითარებისთვის.
26. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი რესურსი შეფასების გეგმის ადგილზე განსახორციელებლად ან შეზღუდოს MD პროგრამის მიმდინარე მონიტორინგისა და შეფასების გეგმა.

**საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევები:**

1. სასწავლო პროგრამა ამჟამად აღწერილია, როგორც „ნაწილობრივ ინტეგრირებული“ სამედიცინო პროგრამა, რომელიც ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპებზეა, და რომლის განვითარება უფრო ინტეგრირებული მიმართულებით არის შესაძლებელი.
2. სასურველია, გაფართოვდეს პროგრამაში შემოთავაზებული ენების არჩევანი და „იტალიური ენის“ სავალდებულო კურსს სხვა ენებიც დაემატოს, ვინაიდან გაცვლითი პროგრამები დაგეგმილია არაიტალიურენოვან ქვეყნებში.
3. სასურველია მინი-კლინიკური გამოცდისა და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის საკითხების ინტეგრირება ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.
4. სადაც ტუტორებს არ აქვთ დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია, სასარგებლო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რა კონკრეტული საგნები და უნარები შეიძლება ასწავლონ ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებმა და კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დონე.
5. მიზანშეწონილია, კლინიკური პრაქტიკის ლოკაციებზე სტუდენტების რაოდენობის შემცირება 5-6 სტუდენტამდე თითოეულ ჯგუფში.

**საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 24 ოქტომბრის 19:13 საათზე.**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
რატიანი რატი



რ. რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბუჩაშვილი გოდერძი

